



აღმოსავლეთ ევროპის  
უნივერსიტეტი

## სამოქმედო გეგმა 2019-2021

სტრატეგიული გეგმის მხარდასაჭერად და მისი განხორციელებისთვის  
ვისწრაფვით წარმატებისაკენ!



# შესავალი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს გრძელვადიანი, 2019-2026 სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელებისთვის საჭირო გზებს. მოცემული ქმედებებით მიზნად ვისახავთ, რომ მივაღწიოთ ჩვენს მიზანსა და მისიას, რომელიც არის სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველი. მოცემული დოკუმენტი მიიჩნევა როგორც „ცოცხალი“, არის განახლებადი და შესაძლებელია მასში აისახოს განვითარების ახალი მიმართულებები ისე, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა შეინარჩუნოს სიახლისთვის მზაობა და ადეკვატურად უპასუხოს სწრაფად ცვალებად საერთაშორისო და ეროვნულ უმაღლეს საგანმანათლებლო სექტორს, ამ გზით გააგრძელოს სწრაფად განვითარების პროცესი და ჩამოყალიბდეს როგორც ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი საქართველოში.

## ▶ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხედვა:

ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებულ, საერთაშორისო დონის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებად ჩამოყალიბება.

## ▶ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისია არის:

- სწავლებისა და კვლევის ინტეგრირება და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვა;
- დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე, ქართულ და მსოფლიო კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა სტუდენტებისა და აკადემიური საზოგადოებისათვის;
- სტუდენტთა დასაქმებასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სწავლება ცვალებადი საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

## ▶ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებები:

პროფესიონალიზმი, ინოვაციურობა, ღიაობა და ფართო კოოპერაცია.

ჩვენი მიზნების განსახორციელებლად, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ორიენტირებული იქნება **3 სტრატეგიულ პრიორიტეტზე**.

- მიმზიდველობის **გაზრდა**;
- კვლევების **განვითარება**;
- **ინტერნაციონალიზაცია**;

**3 სტრატეგიული პრიორიტეტის** მისაღწევად, განვსაზღვრეთ **2 გამჭოლი პრიორიტეტი**.

სტრატეგიული პრიორიტეტების მიღწევას ხელს შეუწყობს (გაამყარებს):

- **მენეჯმენტის** გაძლიერება;
- **ინფრასტრუქტურის** განვითარება.

მოცემულ სამოქმედო გეგმაში განვსაზღვრავთ კონკრეტულ გეგმებს, რომელთა განხორციელებასაც ვაპირებთ პირველი სამი წლის განმავლობაში.

აღნიშნული ნაბიჯები დაფუძნებულია მთავარ სტრატეგიულ ინიციატივებზე, რომლებიც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში, თითოეული სტრატეგიული და გამჭოლი პრიორიტეტის ქვეშ.



# სამოქმედო გეგმა-2019-2021

## სტრატეგიული პრიორიტეტი 1: მიმზიდველობის გაზრდა

იმისთვის, რომ გაიზარდოს უნივერსიტეტის მიმზიდველობა, გამოვყავით შემდეგი სტრატეგიული ინიციატივები:

1. მოვიზიდოთ მეტი მოტივირებული და მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი;
2. შევქმნათ ბრენდის გაუმჯობესებელი სახე და რეპუტაცია.

კონკრეტულად კი, 2019-2021 წლებში, ჩვენ შემდეგი ქმედებებით გავამყარებთ სტრატეგიულ ინიციატივებს:

### 1.1 მოვიზიდოთ მეტი მოტივირებული და მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი განსახორციელებელი აქტივობები:

- 2019 წლის ივნისი - გრანტებსა და სტიპენდიებს სისტემის შემუშავება და დანერგვა იმ მაღალი აკადემიური შედეგების მქონე აბიტურიენტებისათვის, რომლებიც ჩაირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;
- 2019 წლის ოქტომბერი - საბაკალავრო პროგრამების პოპულარიზაციისთვის სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა;
- 2019 წლის ნოემბერი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან საუკეთესო კონტიგენტის მოზიდვის პროგრამის შემუშავება და დანერგვა;
- 2019 წლის დეკემბერი - კონკრეტულ სამოტივაციო სქემას განვითარება იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ირიცხებიან;

- 2019 წლის სექტემბერი - ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებზე მონაწილეობის გეგმის შემუშავება და დანერგვა.
- 2019 წლის სექტემბერი - უნივერსიტეტში არსებულ აკადემიურ და ექსტრა-კურიკულარულ მხარდამჭერ სერვისებს შეაფასება მათი განვითარების მიზნით;
- 2019 წლის დეკემბერი - სამოტივაციო სქემას განვითარება სტუდენტებისთვის გაცვლით პროგრამებში ჩართულობის გაზრდის მიზნით;
- 2020 წლის თებერვალი - წარმატებული სტუდენტებისათვის სტიპენდიის ფონდსა და ფინანსური მხარდაჭერის დამატებითი მექანიზმებს შემუშავება;
- 2019 წლის ივლისი-ივნისი - აკადემიური პროგრამების მიხედვით განხორციელებული საქართველოს მასშტაბით შრომის ბაზრის (რაოდენობრივი) კვლევა
- 2019 წლის სექტემბერი-ოქტომბერი - შრომის ბაზრის თვისებრივი კვლევა
- 2020 წლის სექტემბერი - ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურებზე პრაქტიკასა და კვლევაზე ორიენტირებულ განახლებულ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა.
- 2021 წლის სექტემბერი - დეკემბერი - საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად, სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის განვითარება და დანერგვა

### პასუხისმგებლობა:

#### აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია:

ძირითადი განმახორციელებელი: სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი

ჩართული მხარე: საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

#### ინდიკატორები:

- განახლებული სასწავლო პროგრამების რაოდენობა;
- განახლებული სასწავლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის მაჩვენებელი;

- მაღალრეიტინგული აბიტურიენტების ჩარიცხვის მაჩვენებელი;
- განათლების სფეროს გამოფენებზე მონაწილეობის რაოდენობა;
- კონტიგენტის მოზიდვის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების რაოდენობა;
- კონტიგენტის მოზიდვის პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობა;
- დამამთავრებელი კლასის აბიტურიენტთა რაოდენობა, რომლებმაც როგორც პირველი და მეორე აფრჩენი დააფიქსირა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ქართველ სტუდენტთა პროცენტული რაოდენობა.
- სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი სერვისებით;
- სამიზნე ჯგუფებისათვის საბაკალავრო პროგრამების გაცნობისა და პოპულარიზაციის სტრატეგია;
- საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა;
- გაცვლითი პროგრამებში ჩართულ სტუდენტთა აქტიურობის მაჩვენებელი;
- სტუდენტთა რაოდენობა არსებულ ზღვრულ მაჩვენებელთან მიმართებაში;
- სამიზნე ნიშნულებისა და საუკეთესო პრაქტიკის კვლევის ანგარიში;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის განახლებული მეთოდოლოგია.
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი.

## 1.2 ბრენდის გაუმჯობესებული სახე და რეპუტაცია.

### განსახორციელებელი აქტივობები:

- 2020 წლის იანვარი - ბრენდპლატფორმისა და მასზე მორგებულ მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქართველ და საერთაშორისო პოტენციურ სტუდენტების ასევე, მაღალი პოტენციალის მქონე ადგილობრივ და უცხოელ პერსონალზე მოზიდვაზე;
- 2020 წლის თებერვალი - მარკეტინგულ სტრატეგიაზე დაფუძნებული საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება;
- 2020 წლის მარტი - 2021 წლის დეკემბერი - განსაზღვრულ სამიზნე აუდიტორიაზე მორგებული მარკეტინგულ არხების გამოყენებით PR აქციების განხორციელება;

- 2020 წლის მარტი - მაისი - უნივერსიტეტის ვებ-გვერდს განახლება.

#### **პასუხისმგებლობა:**

- აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია:

ძირითადი განმახორციელებელი: საზოგადოებრივი აქტივობებისა და კომუნიკაციის სამსახური

#### **ინდიკატორები:**

- შემუშავებული და დამტკიცებული ბრენდპლატფორმა
- შემუშავებული და დამტკიცებული მარკეტინგული სტრატეგია;
- შემუშავებული და დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა;
- პარტნიორებთან თანამშრომლობითი ხელშეკრულებების რაოდენობა;
- შექმნილი და გააქტიურებული სოციალური მედიის არხები და პლატფორმები.
- განახლებული უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
- მარკეტინგულ სტრატეგიისა და საკომუნიკაციო გეგმის ბიუჯეტი

## სტრატეგიული პრიორიტეტი 2: კვლევების განვითარება

საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის განსავითარებლად სტრატეგიულ განვითარების გეგმაში ჩამოვყალიბეთ შემდეგი გრძელვადიანი ინიციატივები:

1. დეტალური კვლევითი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება;
2. ინფრასტრუქტურის განვითარება გამოყენებითი კვლევების მხარდასაჭერად,
3. კვლევითი კულტურის დანერგვა;
4. კვლევითი პროდუქტიულობის ზრდა.

კონკრეტულად კი, 2019-2021 წლებში შემდეგი ქმედებებით გავამყარებთ სტრატეგიულ ინიციატივებს:

### 2.1 დეტალური კვლევითი სტრატეგიის განვითარება და განხორციელება;

განსახორციელებელი აქტივობები:

- 2019 წლის სექტემბერი-ოქტომბერი - უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებისა და ინსტიტუციურ და ინდივიდუალურ კვლევით სამიზნეების შემუშავება.
- 2019 წლის ნოემბერი-დეკემბერი - კვლევითი სტრატეგიის, იმპლემენტაციისა და სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის გეგმის შემუშავება;
- 2019 წლის დეკემბერი - კვლევის ეთიკის კოდექსისა და კვლევის ეთიკის კომიტეტის დებულების შემუშავება და დანერგვა;
- 2020 წლის იანვარი - პლაგიატის გამოვლენის გაუმჯობესებული სისტემის შემუშავება და დანერგვა.
- 2021 წლის სექტემბერი - სამეცნიერო-საგრანტო პროექტების მხარდაჭერის სისტემის განვითარება.
- 2019 წლის იანვარი 2021 წლის დეკემბერი - სტუდენტებსა და აკადემიური პერსონალში კვლევითი საქმიანობასთან დაკავშირებული სტრატეგიების, პროგრამებს, წესებისა და ინფორმაციის დისემინაციის აქტივობები;



## პასუხისმგებლობა:

- აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია:  
ძირითადი განმახორციელებელი: სამეცნიერო კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური;

## ინდიკატორები:

- სტუდენტებსა და აკადემიური პერსონალთან შეხვედრებისა და აქტივობების რაოდენობა
- კვლევითი სტრატეგია
- ეთიკის კოდექსი
- ამოქმედებული პლაგიატის განახლებული სისტემა
- სამეცნიერო-საგრანტო პროექტების რაოდენობის მაჩვენებელი
- სამეცნიერო კვლევებზე გამოყოფილი ბიუჯეტი

## 2.2 ინფრასტრუქტურის განვითარება გამოყენებითი კვლევების მხარდასაჭერად განსახორციელებელი აქტივობები:

- 2019 წლის ივნისი - კვლევითი ცენტრის დებულებასა და მასში შემავალი ლაბორატორიების კონცეფციების შემუშავება.
- 2019 წლის ივლისი - კვლევითი ცენტრის სამწლიანი სამოქმედო და ფინანსური მხარდაჭერის გეგმის შემუშავება.
- 2019 წლის ივლისი - კვლევითი-საპროექტო ბიუროს ლაბორატორიის აღჭურვა და ამოქმედება;
- 2019 წლის ივლისი - ქცევის შემსწავლელი ლაბორატორია „ლაბორატორია Z“-ს აღჭურვა და ამოქმედება;
- 2019 წლის ოქტომბერი - ჰისტოლოგიის ლაბორატორიის აღჭურვა და ამოქმედება;

- 2019 წლის ნოემბერი - მრავალფუნქციური აქსელერატორი „ჭკვიანი აუდიტორიის“ აღჭურვა და ამოქმედდება;
- 2019 წლის ივნისი - არსებული ლაბორატორიების (მიკრობიოლოგია; კლინიკური უნარჩვევები; ბიოქიმია;) აღჭურვილობის გაუმჯობესება;
- 2019 წლის დეკემბერი 2021 წლის დეკემბერი - ბიზნეს კომპანიებთან ერთად ერთობლივი კვლევით სფეროში თანამშრომლების მიზნით აქტივობების განხორციელება;
- 2020 წლის ოქტომბერი - ახალგაზრდა მკვლევარების სტიმულირებისა და წახალისების სისტემის განვითარება
- 2021 წლის თებერვალი - სადოქტორო სკოლის კონცეფციას შემუშავება საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით
- 2021 წლის მარტი-ივნისი - სადოქტორო სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმის შემუშავება
- 2021 წლის ივლისი-სექტემბერი სადოქტორო სკოლის დანერგვის მხარდამჭერი აქტივობები

#### პასუხისმგებლობა:

- აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია:  
ძირითადი განმახორციელებელი: სამეცნიერო კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი;  
ჩართული მხარე: მატერიალური რესურსების მართვის სამსახური

#### ინდიკატორები:

- პარტნიორ ორგანიზაციებთან გამოყენებით კვლევებზე თანამშრომლობაზე დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა
- მოქმედი მკვლევარების რაოდენობა
- კვლევითი ლაბორატორიების რაოდენობა;

- კვლევითი ლაბორატორიების დამტკიცებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა
- სტუდენტთა კმაყოფილება კვლევითი ინფრასტრუქტურით
- მკვლევარების კმაყოფილება კვლევითი ინფრასტრუქტურით
- კვლევითი ცენტრის დებულება
- ახალგაზრდა მკვლევართა ნაშრომების სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებელი
- სადოქტორო სკოლის დამტკიცებული კონცეფცია
- სადოქტორო სკოლის დამტკიცებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა
- კვლევის საქმიანობაზე გამოყოფილი ფინანსები

### 2.3 კვლევითი კულტურის დანერგვა

#### განსახორციელებელი აქტივობები:

- 2019 წლის ივლისი - სასწავლო პროგრამების **კურსკულუმების გადახედვა**, რომ მოხდეს მასში მეტი კვლევითი კომპონენტის ინტეგრირება;
- 2020 წლის თებერვალი-მარტი - უნივერსიტეტის დოქტორანტების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საჯარო ლექციებისა და სამეცნიერო სემინარებს ჩატარება;
- 2020 წლის მარტი - 2021 წლის დეკემბერი - უნივერსიტეტის და მოწვეული პროფესორებისა ვიდეო ლექციების ციკლის მომზადება.
- 2020 წლის თებერვალი ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის ყოველწლიური ადგილობრივი/საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციების ორგანიზების სისტემის შეფასება და შემდგომი განვითარება;
- **2020 წლის თებერვალი - სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერის გეგმის შემუშავება.**
- 2020 წლის მარტი- კვლევითი კულტურის თემატიკაზე ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებსა და „კორკმოფებზე“ მონაწილეობის მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება.

- 2020 წლის მარტი - სტუდენტთა სამეცნიერო კუთხით წარმოდგენილი ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.
- 2020 წლის მაისი - სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზების განვითარების საჭიროების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა;
- 2020 წლის ნოემბერი - ინტერდისციპლინური კვლევებისა მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა
- 2021 წლის თებერვალი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად სამეცნიერო პროექტებში ჩართულობის მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;

#### პასუხისმგებლობა:

- აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია:  
ძირითადი განმახორციელებელი: სამეცნიერო კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური;  
ჩართული მხარე: კვლევითი ცენტრი

#### ინდიკატორები:

- განახლებული კურსკულუმების რაოდენობა;
- ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობის მაჩვენებელი.
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისათვის და მათი მონაწილეობით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა;
- მომზადებული ვიდეო რგოლების რაოდენობა;
- სტუდენტთა კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერის განახლებული მექანიზმები;
- უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა ყოველწლიური ადგილობრივი/საერთაშორისო კონფერენციის რაოდენობა.
- ინტერდისციპლინარული კვლევების რაოდენობა.

- სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზების რაოდენობა
- კვლევითი საქმიანობის ბიუჯეტი

## 2.4 კვლევითი პროდუქტიულობის ზრდა

### განსახორციელებელი აქტივობები:

- 2019 წლის ოქტომბერი - უნივერსიტეტის ბაზაზე ახალი საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალის გამოცემა
- 2020 წლის ივნისი - განვსაზღვრავთ კვლევის მოლოდინებს და დავუკავშირებთ მას შედეგების შეფასებას
- 2020 წლის სექტემბერი - გავზრდით უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების გარე რეცენზიებისა და ციტირების რაოდენობას;
- 2020 წლის დეკემბერი - გავზრდით კვლევით საქმიანობაში ჩართული კომპანიების რაოდენობას
- 2020 წლის სექტემბერი - აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მეცნიერებისა და სტუდენტების კვლევითი აქტივობებისა და სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობის მოტივაციისა და წახალისების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;
- 2021 წლის აპრილი - კვლევითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემის განვითარება;
- 2021 წლის ივნისი - კვლევითი პერსონალისთვის სამუშაო დატვირთვის სისტემის შეფასება და განვითარება
- 2020 წლის დეკემბერი - აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებსა ან/და საერთაშორისო გამოცემებში კვლევის შედეგების გამოქვეყნების ხელშეწყობას მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;
- 2019 წლის სექტემბერი - შიდა საგრანტო კვლევითი პროექტების კონკურსების სისტემის განვითარება



- 2021 წლის იანვარი - სამეცნიერო კვლევითი პროექტების შიდა საგრანტო სისტემის შეფასება და განვითარება;
- 2021 წლის მაისი - ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში წარდგენილი გამოყენებითი კვლევების, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების საკონკურსო პროექტების თანადაფინანსების სისტემის შეფასება და განვითარება;
- 2020 წლის დეკემბერი - უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ ან/და უნივერსიტეტის სახელით წარდგენილ საგრანტო პროექტებში მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტების კვლევით პროექტებში მონაწილეობის მარეგულირებელ დოკუმენტის შეფასება და განვითარება;
- 2021 წლის ოქტომბერი - მეცნიერების კომერციალიზაციის კომპონენტის დოქტორანტურის საფეხურზე დანერგვის პროგრამის შემუშავება და დანერგვა.

#### **პასუხისმგებლობა:**

- **აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია:**

ძირითადი განმახორციელებელი: სამეცნიერო კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური;

ჩართული მხარე: კვლევითი ცენტრი

#### **ინდიკატორები:**

- კვლევითი პუბლიკაციების რაოდენობა
- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი
- აქტიური კვლევითი პერსონალის პროცენტული მაჩვენებელი
- კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების რაოდენობა
- გაუმჯობესებული სამოტივაციო სქემა
- პერსონალის და სტუდენტების კმაყოფილების დონე
- სტუდენტების გაუმჯობესებული კვლევითი უნარები და კომპეტენციები;
- კვლევით საქმიანობაში ჩართული კომპანიების დინამიკა

- კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი ბიუჯეტი.

## სტრატეგიული პრიორიტეტი 3: ინტერნაციონალიზაცია

იმისთვის, რომ შენარჩუნდეს დაწესებულების მდგრადობა, სტრატეგიული განვითარების გეგმაში აქცენტს ვაკეთებთ შემდეგ სტრატეგიულ ინიციატივებზე:

1. საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურება;
2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება „შინ“;
3. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია.

კონკრეტულად კი, 2019-2021 წლებში ჩვენ შემდეგი ქმედებებით გავამყარებთ სტრატეგიულ ინიციატივებს:

### 3.1 საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურება

განსახორციელებელი აქტივობები:

- 2019 წლის ოქტომბერი - უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორობის შეფასება და შემდგომი განვითარება
- 2019 წლის ოქტომბერი - პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის პროგრამებში მონაწილეობის წახალისებისა და მხარდაჭერის პროგრამის შემუშავება.
- 2019 წლის დეკემბერი - აღიარების მიზნით უცხო ქვეყნებში (ისრაელი, შრი-ლანკა) უნივერსიტეტის რეგისტრაციის პროცედურის განხორციელება;
- 2020 წლის ივნისი - საერთაშორისო პარტნიორობის ქსელის გაფართოვების სტრატეგიის შემუშავება
- 2020 წლის სექტემბერი - ერთობლივი/საერთაშორისო პროგრამები და პროექტების შემუშავება
- 2020 წლის იანვარი-დეკემბერი - საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების პროცედურის განხორციელება;
- 2020 წლის ივნისი - გაცვლითი პროგრამებისა და სეზონური სკოლებში ჩართულობის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

- 2021 დეკემბერი - მიდლსექსის (ლონდონი) უნივერსიტეტთან ვალიდაციის პროცესის განხორციელება;

#### პასუხისმგებლობა:

- აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია:  
ძირითადი განმახორციელებელი: საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

#### ინდიკატორები:

- აქტიური საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა;
- პერსონალისა და სტუდენტებისთვის შეთავაზებული მობილობის პროგრამების რაოდენობა;
- ერთობლივი/საერთაშორისო პროექტების და პროგრამების რაოდენობა;
- ჩვენ შესახებ ინფორმაციის შემცველი საერთაშორისო პორტალების რაოდენობა;
- უნივერსიტეტის რეგისტრაციის მაჩვენებელი სამიზნე ქვეყნებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების მაჩვენებელი.
- გაცვლითი პროგრამებისა და სეზონური სკოლების შეთავაზების რაოდენობა
- მიდლსექსის უნივერსიტეტთან ვალიდაციის პროცესის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (ხელშეკრულება)
- ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერაზე გამოყოფილი ბიუჯეტი

### **3.2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება „შინ“**

#### განსახორციელებელი მოქმედებები:

- 2020 წლის მარტი - „ინტერნაციონალიზაცია შინ“ სტრატეგიის შემუშავება
- 2020 წლის სექტემბერი - მაღალკვალიფიცირებული საერთაშორისო პერსონალის მოზიდვის პროგრამის შემუშავება;
- 2019 წლის დეკემბერი - პერსონალთან და სტუდენტებთან ევროპული უმაღლესი განათლების სივრცისა და ინტერნაციონალიზაციის ასპექტებზე მრგვალი მაგიდის ფორმატის საინფორმაციო შეხვედრებისა და დისკუსიების განხორციელება.

- 2020 წლის მარტი - უნივერსიტეტის დეპარტამენტების/სამსახურების მიერ ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებისთვის და განვითარების პროგრამის შემუშავება

#### პასუხისმგებლობა:

- აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია :  
ძირითადი განმახორციელებელი: საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

#### ინდიკატორები:

- „ინტერნაციონალიზაცია შინ“- სტრატეგია
- უცხოელი პერსონალის რაოდენობა;
- საინფორმაციო სესიების, შეხვედრების და დისკუსიების რაოდენობა.
- ინტერნაციონალის ხელშეწყობაზე მიმართული დეპარტამენტების/სამსახურების წინადადებები
- ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერაზე გამოყოფილი ბიუჯეტი

### 3.3 საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია

#### განსახორციელებელი აქტივობები:

- 2019 წლის სექტემბერი - საერთაშორისო ექსპერტების მიერ უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების სისტემის დანერგვა და განხორციელება
- 2019 წლის ივნისი - ბიზნესის ადმინისტრირების, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილებისა და წამყვანი უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამის მოდელების ანალიზი.



- 2019 წლის ივლისი - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილებისა და წამყვანი უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამის მოდელების ანალიზი.
- 2019 წლის ნოემბერი - მედიცინის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის განახლება და საერთაშორისო სტანდარტთან (WHO) შესაბამისობაში მოყვანა
- 2020 წლის დეკემბერი - სწავლებაში საერთაშორისო კომპონენტის გაძლიერების მიზნით სასწავლო პროგრამების კურსკულუმების შეფასება და განვითარება
- 2020 წლის ივნისი - ინგლისურენოვანი პროგრამების პორტფოლიოსა დაზრდის მიზნით ახალი პროგრამების შემუშავება;
- 2020 წლის სექტემბერი - ერთობლივი პროგრამის ამოქმედება სხვა უნივერსიტეტებთან (მათ შორის, Fresenius, Germany) თანამშრომლობით.

#### პასუხისმგებლობა:

- აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია:  
ძირითადი განმახორციელებელი: ფაკულტეტები  
ჩართული მხარე: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

#### ინდიკატორები:

- განახლებული კურსკულუმების რაოდენობა, რომელსაც აქვს მყარი საერთაშორისო კომპონენტი.
- კურსკულუმების რაოდენობა, სადაც გათვალისწინებულია საერთაშორისო უნივერსიტეტების კურსკულუმების მოდელები
- ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობა
- ერთობლივი პროგრამების რაოდენობა
- საერთაშორისო ექსპერტების მიერ პროგრამების შეფასების რაოდენობა
- ხელახალი აკრედიტაციის მქონე პროგრამების რაოდენობა

## **გამჭოლი პრიორიტეტი ა : მმართველობის გაძლიერება**

იმისთვის, რომ გავამართლოთ მოლოდინები, სტრატეგიული განვითარების გეგმაში გამოვყავით შემდეგი სტრატეგიული ინიციატივები:

1. ადამიანური რესურსების მარკეტინგი და ბრენდინგი (პროფესიონალი ადამიანური რესურსების მოზიდვა, შენარჩუნება, განვითარება);
2. ხარისხის კულტურის დანერგვა და განვითარება;
3. შეთავაზებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება ყველასთვის.

კონკრეტულად კი, 2019-2021 წლებში შემდეგი ქმედებებით გავამყარებთ სტრატეგიულ ინიციატივებს:

- ა. 1. ადამიანური რესურსების მარკეტინგი და ბრენდინგი (პროფესიონალი ადამიანური რესურსების მოზიდვა, შენარჩუნება, განვითარება)**

**განსახორციელებელი მოქმედებები:**

- 2019 წლის ივნისი - საერთაშორისო სამსახურის თანამშრომლებისთვის ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე საერთაშორისო ექსპერტის ტრენინგი;
- 2019 წლის ივნისი - აკადემიურ პერსონალს ოდენობის გაზრდის საჭიროების შეფასება;
- 2019 წლის ივლისი-აგვისტო - ელექტრონულ საქმისწარმოებისა და განახლებული ელექტრონული ბაზების გამოყენების საკითხებში პერსონალის გადამზადება;
- 2019 წლის სექტემბერი - პროფესიული განვითარების გეგმა-გრაფიკის მიხედვით ადმინისტრაციული პერსონალისთვის სხვადასხვა მიმართულებით (მარკეტინგი, დროის მენეჯმენტი, კომუნიკაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, საქმიანი მიმოწერა, კონფლიქტების მართვა და ა.შ.) ტრენინგების ციკლის განხორციელება
- 2019 წლის სექტემბერი - პროფესიული განვითარების გეგმა-გრაფიკის მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის სხვადასხვა მიმართულებით (

სწავლების თანამედროვე მეთოდები (დარგების მიხედვით); საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებასა და კვლევაში კურიკულუმის და სილაბუსის შემუშავება, სწავლის შედეგების აღწერა/შეფასება და შეფასების მეთოდები და ა.შ.) ტრენინგების ციკლის განხორციელება

- 2019 წლის სექტემბერი - ბიბლიოთეკის თანამშრომლების გადამზადების ტრენინგების ციკლის განხორციელება
- 2019 წლის ოქტომბერი - IT სამსახურის თანამშრომელთათვის ტრენინგების ციკლის განხორციელება
- 2019 წლის ივლისი - ლოგისტიკის საკითხებზე პასუხისმგებელი პერსონალის გადამზადების მიზნით ტრენინგების ციკლის განხორციელება
- 2019 წლის ივლისი - შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევა;
- 2019 წლის ოქტომბერი - დეკემბერი განვლილი ტრენინგების შედეგების ანალიზი/შეფასება
- 2020 წლის თებერვალი - თანამშრომელთა შეფასების ახალი სისტემის შემუშავება;
- 2019 წლის ივლისი-აგვისტო, შრომის ბაზრის კვლევისა და თანამშრომელთა შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე პერსონალის მოზიდვა/შენარჩუნება/განვითარების პროგრამის შემუშავება
- 2020 წლის იანვარი - ყოველწლიურ შიდაორგანიზაციული პროფესიული განვითარების გეგმა-გრაფიკს შემუშავების პროცედურის შემუშავება და დანერგვა;
- 2020 წლის აპრილი-დეკემბერი საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით მენეჯმენტისა და პერსონალის განვითარების საკითხებზე სემინარების, შეხვედრების და დისკუსიების ორგანიზება;
- 2020 წლის ოქტომბერი, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევისა და შეფასების საფუძველზე მოტივაციის ახალ სისტემის შემუშავება და დანერგვა

#### პასუხისმგებლობა:

- აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია:

ძირითადი განმახორციელებელი: ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;  
ჩართული მხარე: უწყვეტი განათლების სამსახური;

#### ინდიკატორები:

- ორგანიზაციაში შეთავაზებული პროფესიული განვითარების კურსების რაოდენობა
- გარე პარტნიორების მიერ შეთავაზებული პროფესიული კურსების რაოდენობა
- გაუმჯობესებული შეფასების სისტემა პერსონალის
- დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილება
- ახალი თანამშრომლების შენარჩუნების მაჩვენებელი
- პროფესიული განვითარებისათვის შემუშავებული ტრენინგის ციკლის გეგმა-გრაფიკი
- ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა
- ტრენინგებისა და განვითარების პროგრამის განხორციელების შედეგების ანალიზი
- სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის შეფარდება
- ტრენინგებზე გამოყოფილი ბიუჯეტი

#### ა.2. ხარისხის კულტურის განვითარება და დანერგვა

##### განსახორციელებელი მოქმედებები:

- 2019 წლის დეკემბერი - ხარისხის უზრუნველყოფის თაობაზე პერსონალთან რეგულარულ სემინარებს და ტრენინგებს განხორციელება.
- 2020 წლის თებერვალი - ხარისხის უზრუნველყოფას საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციებზე და სემინარებზე დასწრების ფინანსური მხარდაჭერის პროცედურის შემუშავება და დანერგვა

- 2020 წლის დეკემბერი - ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობებში და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში შიდა და გარე დაინტერესებულ პირთა სრულ ჩართვას მექანიზმების შეფასება და განვითარება.
- 2019 წლის ივნისი - პროგრამის განვითარების და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში პროგრამების ხელმძღვანელების გადამზადება;
- 2019 წლის ნოემბერი - სასწავლო და სამეცნიერო პროცესის შეფასებასთან დაკავშირებით პროგრამების, სასწავლო კურსების, აკადემიური პერსონალის, მკვლევარების, სტუდენტების, დამსაქმებლების შეფასების ფორმების შეფასება და განვითარება.
- 2020 წლის თებერვალი - დავიწყებთ აკადემიური პერსონალის შეფასების პოლიტიკის განვითარებას
- 2019 წლის ოქტომბერი - აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ლექციებზე დასწრების მონიტორინგისა და შესაბამისი რეაგირების განახლებული პროცედურების დანერგვა;
- 2019 წლის ოქტომბერი - კლინიკებში/პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებში მონიტორინგის განახლებულ პროცედურების დანერგვა;
- 2020 წლის მარტი - ხარისხის მენეჯმენტში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და დანერგვის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ექსპერტების ტრენინგ კურსის პროგრამის შემუშავება
- 2021 წლის მარტი - ხარისხის მენეჯმენტში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და დანერგვის მიზნით აკადემიური პერსონალის საზღვარგარეთის ქვეყნებში; გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის შემუშავება;
- 2021 წლის მარტი - ხარისხის მენეჯმენტში დაგროვილი გამოცდილებისა და საუკეთესო მიგნებების გაზიარების მიზნით გზამკვლევის შემუშავება;

#### პასუხისმგებლობა:

- აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია:



ძირითადი განმახორციელებელი: ხარისხის უზრუნველყოფის მართვის სამსახური

#### ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ტრენინგებზე და სემინარებზე მონაწილეთა რაოდენობა
- ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე და სემინარებზე მონაწილეთა რაოდენობა
- პერსონალის და დამსაქმებლის კმაყოფილების მაჩვენებელი
- მოწვეული ექსპერტების რაოდენობა
- საერთაშორისო კონფერენციებზე და სემინარებზე დასწრების მაჩვენებელი
- დამტკიცებული მონიტორინგის განახლებული მექანიზმები
- დამტკიცებული შეფასების განახლებული სისტემა
- გაზრდილი ბიუჯეტი

### ა.3 მაღალი ხარისხის სერვისების მიწოდება ყველასთვის

#### განსახორციელებელი მოქმედებები:

- 2019 წლის ივლისი - დაწესებულებაში არსებული ყველა პოზიციისთვის სამუშაო აღწერილობის შეფასება და მარეგულირებელი წესის შემუშავება და განვითარება
- 2020 წლის მარტი - კარიერული და დასაქმების მხარდამჭერი სერვისების გასაუმჯობესებლად კონცეპტების განახლება;
- 2020 წლის ივნისი - კურიკულუმ გარე აქტივობებსა და კურსდამთავრებულებზე ორიენტირებულ სერვისების გაძლიერება
- 2020 წლის ივნისი - სტუდენტურის სერვისის განხორციელების შეფასება და განვითარება
- 2020 წლის სექტემბერი - ადმინისტრაციული პერსონალის დამატებას საჭიროების შეფასება;

- 2020 წლის სექტემბერი - საერთაშორისო სტუდენტებისთვის სპეციალურ მხარდამჭერ სერვისების შემუშავება;
- 2019 წლის ნოემბერი - ინდივიდუალური კარიერული დაგეგმარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტებისათვის ტრენინგ-კურსების (5 ნაბიჯი დასაქმებისკენ: cv-ისა და სამოტივაციო წერილის დაწერა, დროის მართვა, ეფექტიანი კომუნიკაცია, ლიდერობა და გუნდურობა, პერსონალური ბრენდინგი და ნეთვორქინგი;) განხორციელება
- 2020 წლის იანვარი - სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისების შეფასება და განვითარება
- 2020 წლის დეკემბერი - HR-ის ელექტრონული ინფორმაციის სისტემას დანერგვა.

#### პასუხისმგებლობა:

- აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია:  
ძირითადი განმახორციელებელი: სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური  
ჩართული მხარე: უწყვეტი განათლების სამსახური

#### ინდიკატორები:

- პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი
- სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებელი
- კურსდამთავრებულების კმაყოფილების მაჩვენებელი
- შეთავაზებული სერვისების რაოდენობა
- კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომელიც არის პროფესიული კუთხით დასაქმებული.
- დამატებითი სერვისებისა და დამატებული პერსონალის რაოდენობა
- განახლებული და ხელმისაწვდომი სამუშაო აღწერილობების პროცენტული რაოდენობა.
- შეთავაზებული კურსების რაოდენობა
- ელექტრონული ინფორმაციის ახალი სისტემა.

## გამჭოლი პრიორიტეტი ბ: ინფრასტრუქტურის განვითარება

### ბ.1. შევქმნით ახალ სასწავლო და კვლევით გარემოს;

### ბ.2. შესაბამისობაში მოვიყვანოთ ინფრასტრუქტურას სტრატეგიასთან და პოლიტიკასთან;

კონკრეტულად კი, 2019-2021 წლებში ჩვენ შემდეგი ქმედებებით გავამყარებთ სტრატეგიულ ინიციატივებს:

### ბ.1 შევქმნით ახალ სასწავლო და კვლევით გარემოს;

განსახორციელებელი მოქმედებები:

- 2020 წლის ივნისი - უნივერსიტეტში ბიბლიოთეკის რესურსებსა და საბიბლიოთეკო ფონდს შორის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზების შეფასება და პოლიტიკის შემუშავება
- 2019 წლის ოქტომბერი - ახალი კამპუსისში ტრენინგების სივრცე
- 2019 წლის სექტემბერი - მმართველობით პროცესებს ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვა;
- 2019 წლის ნოემბერი - შშმ პირებისთვის ინფრასტრუქტურის სრულ ადაპტირება;
- 2019 წლის ოქტომბერი - საგამოცდო ცენტრის ინფრასტრუქტურის განვითარება
- 2019 წლის ოქტომბერი - კლინიკური უნარ-ჩვევების, მიკრობიოლოგიის, ბიოქიმიის ლაბორატორიებს შესაბამისი აღჭურვილობით (მულაჟები, სტიმულატორებით, ლაბორატორიული ინვენტარით, ჭურჭელი და ა.შ.) საჭიროების პროცედურის შემუშავება და დანერგვა
- 2020 წლის ივნისი - აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის შესახებ. ტრენინგებს ორგანიზება
- 2021 წლის ივნისი - მედიცინის მიმართულების პროგრამებისთვის საგამოცდო ცენტრისთვის (OSCE გამოცდებისთვის) ინფრასტრუქტურის საჭიროების შეფასების პროცედურის შემუშავება
- 2021 წლის სექტემბერი - მედიცინის მიმართულების პროგრამებისთვის საგამოცდო ცენტრში OSCE გამოცდების დანერგვა
- 2021 წლის ივლისი - სასწავლო და კვლევითი გარემოს ანალიზი;

- 2021 წლის მარტი - საუნივერსიტეტო კლინიკის კონცეფციის შემუშავება

#### პასუხისმგებლობა:

- აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია მირითადი განმახორციელებელი: მატერიალური რესურსების მართვის სამსახური  
ჩართული მხარე: საფინანსო სამსახური

#### ინდიკატორები:

- ანალიტიკური მონაცემები სწავლისა და კვლევითი გარემოს საჭიროების შესახებ
- ბიბლიოთეკის რესურსის რაოდენობა
- პერსონალის კმაყოფილების კვლევა
- სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის შესახებ ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა
- ახალი კამპუსი ტრენინგისთვის.
- მოქმედი ლაბორატორიები
- განახლებული IT აპარატურის რაოდენობა
- OSCE გამოცდების დანერგვა

## **ბ.2. ინფრასტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანა დაწესებულების სტრატეგიასთან და პოლიტიკასთან.**

#### განსახორციელებელი აქტივობები:

- 2019 წლის სექტემბერი - გაიზრდება ჯანდაცვის ფაკულტეტზე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა
- 2019 წლის ოქტომბერი - ახალი შენობა აღიჭურვება კომპიუტერული ტექნიკითა და საუნივერსიტეტო ინვენტარით

- 2019 წლის ოქტომბერისთვის, დავასრულებთ სამუშაოებს და გავხსნით ახალ კამპუსს
- 2019 წლის ნოემბრისთვის განვახორციელებთ ჯანდაცვის ფაკულტეტს, რომელსაც შეემატება მორფოლოგიის ლაბორატორია;
- 2021 წლის მარტი - შევიმუშავებთ საუნივერსიტეტო კლინიკის კონცეფციას

#### პასუხისმგებლობა:

- აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია:  
ძირითადი განმახორციელებელი: მატერიალური რესურსების მართვის სამსახური

#### ინდიკატორები:

- განვითარებული ჯანდაცვის ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა;
- ახალი ინფრასტრუქტურა
- გაზრდილი პერსონალის რაოდენობა
- გაზრდილი ბიუჯეტი

დასახელება	2019	2020	2021
	აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტი 2019-2021 წ.		
<u>შემოსავლები</u>	<u>5 939 061,00</u>	<u>6 433 000,00</u>	<u>7 830 060,00</u>
<b>პირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი</b>	<b>3 049 950,00</b>	<b>4 323 000,00</b>	<b>6 090 060,00</b>
სტუდენტებისაგან მიღებული შემოსავალი	3 049 950,00	4 323 000,00	6 090 060,00
მ.შ. ბაკალავრიატი/ერთ საფეხურიანი	2 570 450,00	3 543 000,00	5 110 000,00
მ.შ. მაგისტრატურა	395 000,00	695 000,00	820 000,00
მ.შ. დოქტორანტურა	84 500,00	85 000,00	160 060,00
<b>არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი</b>	<b>2 889 111,00</b>	<b>2 110 000,00</b>	<b>1 740 000,00</b>
მ.შ. ინვესტიცია (მოზიდული კაპიტალი)	2 425 000,00	400 000,00	400 000,00
მ.შ. პარტნიორების მიერ კაპიტალის გაზრდა	360 000,00	1 500 000,00	1 000 000,00
მ. შ.საბანკო სესხი	-	-	-
სამეცნიერო გრანტები და შემოსავლები კვლევითი საქმიანობიდან	150 000,00	210 000,00	340 000,00
<u>ხარჯები</u>	<u>5 202 772,00</u>	<u>4 726 372,00</u>	<u>6 500 372,00</u>
<u>ცენტრალური ადმინისტრაციის ხარჯები</u>	<u>2 267 872,00</u>	<u>915 872,00</u>	<u>1 295 872,00</u>
<u>საერთო ადმინისტრაციული</u>	<u>164 000,00</u>	<u>360 000,00</u>	<u>500 000,00</u>
წარმომადგენლობითი და მარკეტინგული ხარჯები	104 000,00	280 000,00	420 000,00
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	60 000,00	80 000,00	80 000,00
<u>საინვესტიციო ხარჯები</u>	<u>2 103 872,00</u>	<u>555 872,00</u>	<u>795 872,00</u>



ინფრასტრუქტურული და მატერიალურ ტექნიკური განვითარება	1 608 000,00	200 000,00	500 000,00
კვლევითი ლაბორატორიები	346 000,00	60 000,00	60 000,00
საბანკო სესხის მომსახურება	295 872,00	295 872,00	295 872,00
	-		
<b>შრომის ანაზღაურება</b>	<b>1 438 080,00</b>	<b>1 605 000,00</b>	<b>2 470 000,00</b>
<b>ხელფასი</b>	<b>1 039 040,00</b>	<b>1 150 000,00</b>	<b>1 955 000,00</b>
მ.შ. აკადემიური პერსონალი	451 600,00	490 000,00	510 000,00
მ.შ. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	511 140,00	530 000,00	595 000,00
მ. შ. კვლევითი ცენტრის პერსონალი	36 300,00	80 000,00	800 000,00
პრემია	40 000,00	50 000,00	50 000,00
<b>დანამატი</b>	<b>67 400,00</b>	<b>75 000,00</b>	<b>75 000,00</b>
მ.შ. აკადემიური პერსონალი	31 000,00	35 000,00	35 000,00
მ.შ. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	20 000,00	20 000,00	20 000,00
მ.შ. ჰონორარი	16 400,00	20 000,00	20 000,00
<b>შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება</b>	<b>331 640,00</b>	<b>380 000,00</b>	<b>440 000,00</b>
მ.შ. მოწვეული პერსონალი	311 640,00	330 000,00	390 000,00
მ.შ. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	40 000,00	50 000,00	50 000,00
<b>მომსახურება და შესყიდვები სრულად</b>	<b>1 496 820,00</b>	<b>2 205 500,00</b>	<b>2 734 500,00</b>
<b>მივლინება</b>	<b>98 000,00</b>	<b>112 000,00</b>	<b>132 000,00</b>
მ.შ.მივლინება ქვეყნის შიგნით	21 000,00	35 000,00	35 000,00
მ.შ.მივლინება ქვეყნის გარეთ	77 000,00	77 000,00	97 000,00
<b>კავშირგაბმულობის ხარჯი</b>	<b>16 120,00</b>	<b>19 500,00</b>	<b>23 500,00</b>
მ.შ. სატელეფონო მომსახურების ხარჯი	8 680,00	10 000,00	12 000,00
მ.შ. ინტერნეტით სარგებლობის ხარჯი	7 440,00	9 500,00	11 500,00
<b>კომუნალური ხარჯი</b>	<b>38 500,00</b>	<b>42 000,00</b>	<b>242 000,00</b>
მ.შ.ელექტროენერჯის ხარჯი	9 000,00	10 000,00	180 000,00
მ.შ.წყლის ხარჯი	6 000,00	7 000,00	14 000,00
მ.შ.ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი	23 500,00	25 000,00	48 000,00
<b>ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯი</b>	<b>75 600,00</b>	<b>115 000,00</b>	<b>122 000,00</b>

საერთაშორისო და სტუდენტურ კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში და სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობების ხარჯი	218 400,00	440 000,00	480 000,00
სტუდენტებისათვის სტიპენდიები და სხვა ტიპის დაფინანსებები, სტუდენტების მხარდაჭერა და წახალისება.	252 000,00	252 000,00	255 000,00
სტუდენტური თვითმართვლობის დაფინანსება	84 000,00	115 000,00	125 000,00
სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა მატერიალულ-ტექნიკური ხარჯი	42 000,00	90 000,00	105 000,00
სამეცნიერო აქტივობებისთვის განკუთვნილი თანხა	336 000,00	460 000,00	560 000,00
საკანცელარიო საქონლის შეძენა	75 600,00	75 000,00	75 000,00
ნორმატიული აქტების, საცნობარო, საბიბლიოთეკო ლიტერატურის, საგამომცემლო-სასტამბო საჭიროებებთან დაკავშირებული (არამიერთადაი საქმიანობის) ხარჯები	260 600,00	360 000,00	390 000,00
არამატერიალური აქტივები (საწევროები, ელექტრონული სისტემები და ა.შ.)	20 000,00	40 000,00	60 000,00
აკადემიური პროგრამების და ინსტიტუციური განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები	30 000,00	50 000,00	110 000,00
საერთაშორისო/ადგილობრივი საექსპერტო მომსახურება	20 000,00	35 000,00	55 000,00
სხვადასხვა ხარჯები	360 000,00	380 000,00	410 000,00

**სამოქმედო გეგმა - სტრატეგიული გეგმის მხარდასაჭერად და მისი იმპლემენტაციისათვის  
2019-2021 წ.წ -ის მონიტორინგის გეგმა**

ინდიკატორი	სამიზნე მაჩვენებელი	მონაცემთა შეგროვების მეთოდი; გადამოწმების წყარო
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ განახლებული სასწავლო პროგრამების რაოდენობა და ჩარიცხვის მაჩვენებელი</li> <li>▪ ქართველ სტუდენტთა პროცენტული რაოდენობა.</li> <li>▪ საერთაშორისო სტუდენტების პროცენტული რაოდენობა;</li> <li>▪ სტუდენტთა რაოდენობა არსებულ ზღვრულ მაჩვენებელთან მიმართებით</li> </ul>	<p>არსებულ მაჩვენებელთან მიმართებაში:</p> <p><b>2020 წელს:</b></p> <p>ა. განახლებული სასწავლო პროგრამების რაოდენობის გაზრდა 11 %</p> <p>ბ. ჩარიცხული სტუდენტების გაზრდა 29%</p> <p>გ. ქართველ სტუდენტთა პროცენტული რაოდენობა. 74%-ით</p> <p>დ. საერთაშორისო სტუდენტების პროცენტული რაოდენობა; 26%-ით</p> <p>ე. სტუდენტთა რაოდენობა არსებულ ზღვრულ მაჩვენებელთან მიმართებით 70%-ით</p> <p><b>2021 წელს:</b></p> <p>ა. განახლებული სასწავლო პროგრამების რაოდენობის გაზრდა 6%-ით</p> <p>ბ. ჩარიცხული სტუდენტების გაზრდა 43%-ით</p> <p>გ. ქართველ სტუდენტთა პროცენტული რაოდენობა. 76%-ით</p> <p>დ. საერთაშორისო სტუდენტების პროცენტული რაოდენობა; 24%-ით</p> <p>ე. სტუდენტთა რაოდენობა არსებულ ზღვრულ მაჩვენებელთან მიმართებით 100%-ით</p>	<p style="text-align: center;">მონაცემთა ბაზების და სტუდენტური რეესტრის ანალიზი სტუდენტებთან გაფორმებული/შეწყვეტილი ხელშეკრულებების ანალიზი</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ კონტიგენტის მოზიდვის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების რაოდენობა;</li> <li>▪ კონტიგენტის მოზიდვის პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობა;</li> <li>▪ განათლების გამოფენაზე დამსწრე აბიტურიენტთა რაოდენობა</li> <li>▪ დამამთავრებელ კლასის აბიტურიენტთა რაოდენობა</li> </ul>	<p>2020 წელს ზრდა არანაკლებ 30%</p> <p>2021 წელს ზრდა არანაკლებ 40%</p> <p>2020 წელს ზრდა არანაკლებ 30%</p> <p>2021 წელს ზრდა არანაკლებ 40%</p> <p>2020 წელს ზრდა არანაკლებ 20%</p> <p>2021 წელს ზრდა არანაკლებ 25%</p> <p>2020 წელს ზრდა არანაკლებ 35 %</p>	<p>მონაცემთა ბაზების ანალიზი</p> <p>მონაცემთა ბაზების ანალიზი</p> <p>მონაცემთა ბაზების ანალიზი</p>

<p>რომლებმაც უპირატესობა ეროვნულ გამოცდებზე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს მიანიჭა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ გაცვლითი პროგრამების აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა;</li> </ul>	<p>2021 წელს ზრდა არანაკლებ 50%</p> <p>2020 წელს ზრდა არანაკლებ 50%</p> <p>2021 წელს ზრდა არანაკლებ 70%</p>	<p>მონაცემთა ბაზების ანალიზი</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ შექმნილი და გააქტიურებული სოციალური მედიის არხები და პლატფორმები.</li> <li>▪ პარტნიორებთან თანამშრომლობითი ხელშეკრულებების რაოდენობა;</li> <li>▪ საკომუნიკაციო გეგმის განხორციელების ბიუჯეტი</li> <li>▪ უნივერსიტეტის ცნობადობა</li> </ul>	<p>2020 წელს - სოციალური მედიის არხებით და პლატფორმებზე აქტივობების რაოდენობა</p> <p>2019 წელს ხელშეკრულებების რაოდენობის ზრდა 10%</p> <p>2020 წელს ხელშეკრულებების რაოდენობის ზრდა 15%</p> <p>2021 წელს ხელშეკრულებების რაოდენობის ზრდა 15%</p> <p>საკომუნიკაციო გეგმის ბიუჯეტის ზრდა</p> <p>2020 წლის ბოლოს 270 %</p> <p>2021 წლის ბოლოს 390%</p> <p>უნივერსიტეტის ცნობადობის ზრდა:</p> <p>2020 წლის ბოლოს 40 %</p> <p>2021 წლის ბოლოს 70 %</p>	<p>აქტივობების ანგარიშები</p> <p>ხელმოწერილი ხელშეკრულებები</p> <p>უნივერსიტეტის ბიუჯეტი</p> <p>მარკეტინგული კვლევები</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ სტუდენტებსა და აკადემიური პერსონალთან შეხვედრებისა და აქტივობების რაოდენობა</li> <li>▪ ამოქმედებული პლაგიატის განახლებული სისტემა</li> <li>▪ სამეცნიერო-საგრანტო პროექტების რაოდენობის მაჩვენებელი</li> <li>▪ სამეცნიერო კვლევებზე გამოყოფილი ბიუჯეტი</li> </ul>	<p>10%-ით შეხვედრების რაოდენობის ზრდა 2020 და 2021 წლებში</p> <p>2019 წელს ეთიკის კოდექსის ფართო განხილვა სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენება მაჩვენებელი</p> <p>სამეცნიერო-საგრანტო პროექტების რაოდენობის მაჩვენებელი</p> <p>2020 წლის ბოლოს 30%</p> <p>2021 წლის ბოლოს 50 %</p> <p>სამეცნიერო კვლევებზე გამოყოფილი ბიუჯეტის ოდენობა:</p> <p>2020 წლის ბოლოს 7%</p>	<p>შეხვედრების ოქმები</p> <p>განხილვების რიცხვი და სრულყოფასთან დაკავშირებული რეკომენდაციები</p> <p>სამეცნიერო-საგრანტო პროექტების ხელშეკრულებები</p>

	2021 წლის ბოლოს 7 %	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ პარტნიორ ორგანიზაციებთან გამოყენებით კვლევებზე თანამშრომლობაზე დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა</li> <li>▪ მოქმედი მკვლევარების რაოდენობა</li> <li>▪ კვლევითი ლაბორატორიების რაოდენობა;</li> <li>▪ სტუდენტთა კმაყოფილება კვლევითი ინფრასტრუქტურით</li> <li>▪ მკვლევარების კმაყოფილება კვლევითი ინფრასტრუქტურით</li> <li>▪ ახალგაზრდა მკვლევართა ნაშრომების სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებელი</li> </ul>	<p>დადებული ხელშეკრულების რაოდენობის ყოველწლიურად ზრდა 15%-ით</p> <p>მოქმედი მკვლევარების რაოდენობის ზრდა 300 %-ით</p> <p>3 მოქმედი ლაბორატორია</p> <p>კვლევითი ინფრასტრუქტურით სტუდენტთა კმაყოფილების ზრდა 10%-ით</p> <p>კვლევითი ინფრასტრუქტურით მკვლევარების კმაყოფილების ზრდა 10%-ით</p> <p>ახალგაზრდა მკვლევართა მიერ ნაშრომების სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებლის ზრდა 100%-ით</p>	<p>პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებები</p> <p>ფაკულტეტების ანგარიშები ფონდებიდან მიღებული გრანტები</p> <p>ლაბორატორიების ამოქმედების ოქმები</p> <p>კვლევის ანგარიში</p> <p>კვლევის ანგარიში</p> <p>განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიში ფაკულტეტის ანგარიში</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ განახლებული კურსკულუმების რაოდენობა;</li> <li>▪ ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობის მაჩვენებელი.</li> <li>▪ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისათვის და მათი მონაწილეობით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა;</li> <li>▪ მომზადებული ვიდეო რგოლების</li> </ul>	<p>განახლებული კურსკულუმების 100%</p> <p>მონაწილეთა რიცხოვნობის ყოველწლიური 15%-იანი ზრდა</p> <p>არანაკლებ 20 ჩატარებული ღონისძიებება</p> <p>არანაკლებ 20 ჩატარებული ვიდეო რგოლისა</p>	<p>კურსკულუმების დოკუმენტი</p> <p>ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციების დოკუმენტაცია</p> <p>ღონისძიებების ოქმები</p> <p>ვიდეო რგოლები</p>

<p>რაოდენობა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ სტუდენტთა კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერის განახლებული მექანიზმები;</li> <li>▪ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა ყოველწლიური ადგილობრივი/საერთაშორისო კონფერენციის რაოდენობა.</li> <li>▪ ინტერდისციპლინარული კვლევების რაოდენობა.</li> <li>▪ სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზების რაოდენობა</li> </ul>	<p>არანაკლებ 20 დაფინანსებული სტუდენტთა კვლევით ინიციატივა</p> <p>ყოველწლიურად კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობის რიცხვის 15%-ით ზრდა</p> <p>ინტერდისციპლინარული კვლევების რაოდენობა 3</p> <p>სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზების რაოდენობის ზრდა 30%-ით</p>	<p>უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებები</p> <p>კონფერენციაში მოწვევათა და საკონფერენციო დღის განაწესი ღონისძიებების ამსახველი მასალები</p> <p>კვლევითის პროექტების დოკუმენტაცია</p> <p>დადებული ხელშეკრულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ კვლევითი პუბლიკაციების რაოდენობა</li> <li>▪ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი</li> <li>▪ აქტიური კვლევითი პერსონალის პროცენტული მაჩვენებელი</li> <li>▪ კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების რაოდენობა</li> <li>▪ პერსონალის და სტუდენტების კმაყოფილების დონე</li> </ul>	<p>პუბლიკაციების რაოდენობის ყოველწლიურად 10%-ით ზრდა</p> <p>გამოიცემა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის არანაკლებ 4 ნომერი</p> <p>აქტიური კვლევითი პერსონალის ყოველწლიური ზრდა 10%</p> <p>ახალგაზრდა მკვლევარებისათვის ყოველწლიურად არანაკლებ 6 ვორკშოპი და ტრენინგების ჩატარება</p> <p>სტუდენტთა კმაყოფილების ზრდა 10%-ით</p> <p>მკვლევარების კმაყოფილების ზრდა 10%-ით</p>	<p>პუბლიკაციების ამსახველი მასალა</p> <p>ჟურნალის ნომრები</p> <p>აკადემიური პერსონალის ანგარიში</p> <p>ფაკულტეტის ანგარიში</p> <p>ვორკშოპებზე და ტრენინგებზე დასწრების ოქმი ახალგაზრდა მკვლევარების კვლევითი უნარების შეფასება</p> <p>კვლევის ანგარიში</p> <p>კვლევის ანგარიში</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ აქტიური საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა;</li> </ul>	<p>არანაკლებ 50 პარტნიორი ორგანიზაცია</p>	<p>საერთაშორისო პარტნიორებთან დადებული</p>



<ul style="list-style-type: none"> <li>▪ პერსონალისა და სტუდენტებისთვის შეთავაზებული მობილობის პროგრამების რაოდენობა;</li> <li>▪ ერთობლივი/საერთაშორისო პროექტების და პროგრამების რაოდენობა;</li> <li>▪ უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის შემცველი საერთაშორისო პორტალების რაოდენობა;</li> <li>▪ უნივერსიტეტის რეგისტრაციის მაჩვენებელი სამიზნე ქვეყნებში;</li> <li>▪ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების მაჩვენებელი.</li> <li>▪ გაცვლითი პროგრამებისა და სეზონური სკოლების შეთავაზების რაოდენობა</li> <li>▪ ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერაზე გამოყოფილი ბიუჯეტი</li> </ul>	<p>ყოველწლიური საერთაშორისო მობილობების რიცხვი გაიზარდა 500%-ით</p> <p>არანაკლებ 3 ერთობლივი/საერთაშორისო პროექტების და პროგრამების რაოდენობა;</p> <p>არანაკლებ 3 -სა უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის შემცველი საერთაშორისო პორტალი</p> <p>არანაკლებ 2 ქვეყნა;</p> <p>არანაკლებ 3 საერთაშორისო ორგანიზაცია;</p> <p>არანაკლებ 30 გაცვლითი პროგრამა და სეზონური სკოლა</p> <p>ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერაზე გამოყოფილი ბიუჯეტი გაიზარდა 480000 ლარამდე</p>	<p>ხელშეკრულებები საერთაშორისო მობილობების მოწვევები და დოკუმენტაცია</p> <p>საერთაშორისო პარტნიორებთან დადებული ხელშეკრულებები</p> <p>ინფორმაცია საერთაშორისო პორტალებზე</p> <p>რეგისტრაციის შესახებ დოკუმენტაცია</p> <p>გაწევრიანების შესახებ დოკუმენტაცია</p> <p>გაცვლითი პროგრამებისა და სეზონური სკოლების მხარდაჭერაზე დადებული ხელშეკრულებები</p> <p>უნივერსიტეტის ბიუჯეტი</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ განახლებული კურსკულუმების რაოდენობა, რომელსაც აქვს მყარი საერთაშორისო კომპონენტი.</li> <li>▪ კურსკულუმების რაოდენობა, სადაც გათვალისწინებულია საერთაშორისო უნივერსიტეტების კურსკულუმების მოდელები</li> <li>▪ ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობა</li> <li>▪ ერთობლივი პროგრამების რაოდენობა</li> </ul>	<p>კურსკულუმების რაოდენობა, რომელსაც ექნებათ მყარი საერთაშორისო კომპონენტი გაიზარდა 80%-ით</p> <p>ინგლისურენოვანი პროგრამების რიცხვი გაიზარდა 65%-ით</p> <p>არანაკლებ 2-სა ერთობლივი პროგრამები</p>	<p>განახლებული კურსკულუმების დოკუმენტაცია</p> <p>ინგლისურენოვანი პროგრამების დოკუმენტაცია ერთობლივი პროგრამების განხორციელებაზე დადებული ხელშეკრულებები</p>

<ul style="list-style-type: none"> <li>▪ საერთაშორისო ექსპერტების მიერ პროგრამების შეფასების რაოდენობა</li> <li>▪ ხელახალი აკრედიტაციის მქონე პროგრამების რაოდენობა</li> </ul>	<p>საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასებული იქნება არანაკლებ 15 პროგრამებისა</p> <p>ხელახალი აკრედიტაციის მოიპოვა 8 პროგრამამ</p>	<p>საერთაშორისო ექსპერტებთან დადებული ხელშეკრულებები</p> <p>აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ორგანიზაციაში შეთავაზებული პროფესიული განვითარების კურსების რაოდენობა</li> <li>▪ დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილება</li> <li>▪ ახალი თანამშრომლების შენარჩუნების მაჩვენებელი</li> <li>▪ ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა</li> <li>▪ სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის შეფარდება</li> <li>▪ ტრენინგებზე გამოყოფილი</li> </ul>	<p>შეთავაზებული პროფესიული განვითარების კურსების რაოდენობა გაიზარდება 200 %-ით</p> <p>დამხმარე პერსონალის კმაყოფილების ზრდა 10%-ით</p> <p>ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების ზრდა 10%-ით</p> <p>ახალი თანამშრომლების შენარჩუნების მაჩვენებელი გაიზარდება 50 %-ით</p> <p>ჩატარდება არანაკლებ 30 ტრენინგები</p> <p>სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის შეფარდება გაუტოლდება 1/12</p> <p>ტრენინგებზე გამოყოფილი ბიუჯეტი გაიზარდება 122000 ლარამდე</p>	<p>პროფესიული განვითარების კურსების დოკუმენტაცია</p> <p>კვლევის შედეგები</p> <p>კვლევის შედეგები</p> <p>დასაქმების ხელშეკრულებები</p> <p>ტრენინგის დოკუმენტაცია</p> <p>მონაცემთა ბაზების და სტუდენტური რეესტრის ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტის ბიუჯეტი</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ტრენინგებზე და სემინარებზე მონაწილეთა რაოდენობა</li> <li>▪ ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე და სემინარებზე მონაწილეთა რაოდენობა</li> <li>▪ პერსონალის და დამსაქმებლის კმაყოფილების მაჩვენებელი</li> </ul>	<p>ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ტრენინგებზე და სემინარებზე დასწრება უნივერსიტეტის პერსონალის 30%</p> <p>ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე და სემინარებზე მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდება 50 %-ით</p> <p>აკადემიური პერსონალის კმაყოფილების ზრდა 10%-ით</p> <p>დამსაქმებლების კმაყოფილების ზრდა 10%-ით</p>	<p>ტრენინგის დასწრების ოქმები</p> <p>ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე მოწვევა და სხვა დოკუმენტაცია</p> <p>კვლევის შედეგები</p> <p>კვლევის შედეგები</p>

<ul style="list-style-type: none"> <li>▪ მოწვეული ექსპერტების რაოდენობა</li> <li>▪ ხარისხის კულტურის განვითარების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციებზე და სემინარებზე დასწრების მაჩვენებელი</li> </ul>	<p>არანაკლებ 10 მოწვეული ექსპერტი</p> <p>ხარისხის კულტურის განვითარების საკითხებზე ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე და სემინარებზე მონაწილეთა რაოდენობა გაიზრდება 50%-ით</p>	<p>გაფორმებული ხელშეკრულებები</p> <p>ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე მოწვევა და სხვა დოკუმენტაცია</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი</li> <li>▪ სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებელი</li> <li>▪ კურსდამთავრებულების კმაყოფილების მაჩვენებელი</li> <li>▪ შეთავაზებული სტუდენტური სერვისების რაოდენობა</li> <li>▪ კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომელიც არის პროფესიული კუთხით დასაქმებული.</li> <li>▪ სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისათვის შეთავაზებული სასწავლო კურსების რაოდენობა</li> </ul>	<p>პერსონალის კმაყოფილების ზრდა 10%-ით</p> <p>სტუდენტების კმაყოფილების ზრდა 10%-ით</p> <p>კურსდამთავრებულთა კმაყოფილების ზრდა 10%-ით</p> <p>შეთავაზებული სტუდენტური სერვისების რაოდენობა გაიზრდება არანაკლებ 3 ერთეულით</p> <p>კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომელიც არის პროფესიული კუთხით დასაქმებული გაიზრდება არანაკლებ 10 %-სა</p> <p>სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისათვის შეთავაზებული სასწავლო კურსების რაოდენობა შეადგენს არანაკლებ 15 ერთეულს</p>	<p>კვლევის შედეგები</p> <p>კვლევის შედეგები</p> <p>კვლევის შედეგები</p> <p>შეთავაზებული სტუდენტური სერვისების დოკუმენტაცია</p> <p>კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში</p> <p>სასწავლო კურსების დოკუმენტაცია</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ბიბლიოთეკის რესურსისა და საბიბლიოთეკო ფონდს რაოდენობა</li> <li>▪ განახლებული IT აპარატურის რაოდენობა</li> </ul>	<p>ბიბლიოთეკის რესურსები და საბიბლიოთეკო ფონდი გაიზრდება 15%-ით ყოველწლიურად</p> <p>უნივერსიტეტის IT აპარატურა განახლდება 100 %-ით</p>	<p>გაფორმებული ხელშეკრულებები</p> <p>შესყიდვის ხელშეკრულებები</p>